მომზადებული და განახლებულია

პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

რუსთავი

2026

ქვემო ქართლში არსებული ვითარებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, 2025 წლის ივნისში დაფუძნდა შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი, რომლის მისიაა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას, როგორც რეგიონულ დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი (შემდგომში – „კოლეჯი“) კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნდა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად. კოლეჯის სრული სახელწოდებაა: შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი. კოლეჯის მიზანს წარმოადგენს:

ა) ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;

ბ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;

გ) დასაქმების ხელშეწყობა;

დ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლის მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

ზ) განსაკუთრებული საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სათანადო ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა;

თ) დასაქმებულთან/პროფესიულ სტუდენტთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) შესაბამისი ხელშეკრულებების დადება და კოლეჯის შესაბამისი მარეგულირებელი აქტების გაცნობა.

ი) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გაცვლითი სასაწავლო პროექტების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 27 ივლისის №981004 გადაწყვეტილებით, შპს რუსთავის აკადემიურმა ქალაქმა სამედიცინო კოლეჯმა მოიპოვა **ავტორიზაცია** და უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“**

მისია

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისიაა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას, როგორც რეგიონულ დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით.

ხედვა

2032 წლისთვის კოლეჯი წარმოადგენდეს სწავლაზე ორიენტირებულ, ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების კულტურის მქონე სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას და ხელს უწყობს შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ღირებულებები

- გუნდურობა
- ეთიკურობა
- თანადგომა
- პასუხისმგებლობა
- პროფესიონალიზმი

კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობები პროფორიენტაციის მიმართულებით


რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მიერ განხორციელდა საინფორმაციო აქტივობები პროფორიენტაციის მიმართულებით, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებისთვის პროფესიული განათლების შესაძლებლობების, საქმიანობისა და აღნიშნულ სფეროში პროფესიული განვითარების პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, რომლებიც უახლოეს პერიოდში დგებიან განათლებისა და პროფესიული მომავლის არჩევის წინაშე.

პროფორიენტაციული საქმიანობის ფარგლებში კოლეჯის წარმომადგენლები შეხვდნენ რუსთავის საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მათთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

შეხვედრები ჩატარდა შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

1. **ქალაქ რუსთავის №14 საჯარო სკოლა;**
2. **ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლა;**
3. **ქალაქ რუსთავის №12 საჯარო სკოლა.**





პროფერსიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: საექთნო განათლება / Nursing.

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე“, კოდი 0913, აღმწერი - “შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”

3. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

4. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

5. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

6. სტრუქტურა და მოდულები:

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება:

ა) 3 ზოგადი მოდულისაგან 9 კრედიტის რაოდენობით
ბ) თეორიული სწავლების საბაზო მეცნიერებების 5 მოდულისაგან - 24 კრედიტის რაოდენობით
გ) თეორიული სწავლების საექთნო საქმის 12 მოდულისაგან 45 კრედიტი რაოდენობით
დ) თეორიული სწავლების სოციალური მეცნიერებების 3 მოდულისაგან - 6 კრედიტის რაოდენობით
ე) პრაქტიკული სწავლების 2 პროფესიული მოდულისაგან 6 კრედიტის რაოდენობით
ვ) კლინიკური სწავლების 14 პროფესიული მოდულისაგან 90 კრედიტის რაოდენობით საექთნო განათლებაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 180 კრედიტი (1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს); სწავლის ხანგრძლივობა: 31 სასწავლო თვე (125 კვირა).

მოდულების, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულებით - 210 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 37 სასწავლო თვე (149 კვირა).

კლინიკური და პრაქტიკული სწავლება ხოერციელდება კოლეჯის პარტნიორ კომპანიებში:

- ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“
- შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
- შპს „კლინიკა რუსთავი“
- შპს რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო
- სს რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო

პროგრამის სწავლის შედეგები- კურსდამთვრებულს შეეძლება:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პრგორამის მოდულების ჩამონათვალი:

ზოგადი მოდულები			
№	**მოდულის დასახელება**	**მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**კრედიტი**
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში		2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში		2
3	უცხოური ენა - საექთნო საქმეში		5
ჯამი			**9**
თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები			
№	**მოდულის დასახელება**	**მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**კრედიტი**
4	ჰისტოლოგია		2
5	ბიოქიმია		4
6	მიკრობიოლოგია		4
7	ანატომია-ფიზიოლოგია		10
8	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	ანატომია-ფიზიოლოგია	4
		ჯამი	**24**

თეორიული სწავლება საექთნო საქმე			
9	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში		4
10	ფარმაკოლოგია	• ბიოქიმია • მიკრობიოლოგია	5
11	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში		2
12	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	მიკრობიოლოგია	2
13	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
14	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	6
15	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	7
16	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
17	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია		5
18	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	2
19	პედიატრია და მოზარდები	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	3
20	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია		3
	ჯამი		**45**
თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებები			
21	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში		1
22	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში		3
23	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები		2
	ჯამი		**6**
პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება			
24	ავადმყოფის მოვლა	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
25	შინმოვლა	ავადმყოფის მოვლა	2
	ჯამი		**6**
პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება			
26	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	• ავადმყოფის მოვლა • ქირურგიული პაციენტის საექთნო საქმის საფუძვლები	11

27	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
28	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	• ავადმყოფის მოვლა • თერაპიული პაციენტის საექთნო საქმის საფუძვლები	11
29	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
30	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	• ავადმყოფის მოვლა • გადაუდებელი პაციენტის საექთნო საქმის საფუძვლები	10
31	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	5
32	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	• ავადმყოფის მოვლა • კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	12
33	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	4
34	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	• ავადმყოფის მოვლა • სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
35	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3
36	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	• ავადმყოფის მოვლა • პედიატრია და მოზარდები	7
37	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	3
38	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	• ავადმყოფის მოვლა • ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
39	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
ჯამი			**90**
სულ			**180**